ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/12

დაბა ქედა, **29 ოქტომბერი 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 22.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/12 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

29ოქტომბერი, 2026 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	აწზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 ოქტომბრის №01-06/12 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

3. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე-მახარაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

6. შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2025 წლის სამუშაო ანგარიში.

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი: რაულ ცინცაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 ოქტომბრის №01-06/12 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95262662, 23.09.2026 წელი.) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილებები შედის დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვადასხვა მუხლში და აისახება თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები. ცვლილების თანახმად, იცვლება საკრებულოს წევრების რაოდენობა, ასევე განისაზღვრება და იხვეწება პროცედურული საკითხები, რომლის შედეგად მოხდება რეგლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს იგეგმებოდა თუ არა ანგარიშის წარდგენის ფორმების შემუშავება და დამტკიცება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მერის და საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენისათვის დადგენილია შესაბამისი ფორმა. თუმცა, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის ანგარიშის წარდგენის ერთიანი ფორმის შემუშავება შესაძლოა მიზანშეწონილი არ იყოს, რადგან მათი საქმიანობის სპეციფიკა და სამუშაო ფორმატები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენლების პროექტი.
(დადგენილება N:9; 29.10.2026 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გენადი ანანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95262581-95, 15.09.2026 წელი) და განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის შესაბამისად, II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პროექტით განსაზღვრული II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისა და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენა.

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს აღნიშნული კატეგორიის შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან (რეკონსტრუქციასთან) დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო მოთხოვნებისა და პირობების დაცვის უზრუნველყოფის ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ,,საქართველოს კანონმდებლობით, რამდენი მეტრი უნდა იყოს დაცული სამეზობლო მიჯნიდან შენობის განთავსებისას.

მომხსენებელმა გენად ანანიძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დადგენილების მიხედვით ზღვრული ნორმა დღეის მდგომარეობით არის 2,50 მეტრი. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილება ეხება მხოლოდ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:10; 29.10.2026 წელი).

3. მოისმინეს: სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95263013-95, 28.10.2026 წელი.) და განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო

საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

აცნობა, რომ სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ (ს/კ 245610398) წერილობით (MES 126 0001087200; 24/08/2026), განმარტავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წერეთლის №4-ში მდებარე ბაგა-ბაღის შენობის ნაწილზე (ს/კ 21.03.34.286.01.502, პირველი სართული, 242.30 მ2) სარგებლობს უსასყიდლო უზუფრუქტით გათვალისწინებული უფლებებით და ეწევა აქტიურ და ნაყოფიერ საგანმანათლებლო საქმიანობას, კერძოდ ამ ეტაპზე ახორციელებს: ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს -,,ვაზის მოვლა და დაცვა“ და ,,ღვინის ხარისხის კონტროლი და პროდუქციის რეალიზება. გარდა ამისა, კოლეჯი 4 წლის განმავლობაში ახორციელებდა ,,მეფუტკეობის“ პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამას, რომელიც ახლა განახლების პროცესშია.

კოლეჯი თავისი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე მრავალპროფილურია, აქვს სრული მზაობა, მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები/პროფესიული მომზადების პროგრამები/პროფესიული გადამზადების პროგრამები შრომის ბაზრის საჭიროებისამებრ უზრუნველყოს განხორციელება და რეგიონის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოს, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე მთლიანად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში.

ასევე განმარტა, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მუდმივად იზრდება მოთხოვნა ახალგაზრდობის მხრიდან პროფესიული განათლების მიღების კუთხით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათანადო სასწავლო სივრცის მოსაწყობად, სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, უვადოთ (მისი არსებობის ვადით), გადაეცეს დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N4-ში მდებარე მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში, I და II სართულზე არსებული 531,60 კვ. მეტრი ფართი (ს/კ 21.03.34.286.01.500), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 465300 (ოთხას სამოცდახუთი ათას სამასი) ლარს.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკუთრებაში რეგისტრირებული, დაბა ქედა აკ. წერეთლის ქ. №4-ში (ყოფილი №3) მდებარე შენობა-ნაგებობის I და II სართულზე არსებული 531.60 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.34.286.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემა.

საკითხის წარდგენის შემდეგ მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ზე შენობის უზუფრუქტის უფლებით გადაცემის შედეგად, ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, მუნიციპალიტეტი თავისუფლდებოდა შენობის ავარიული მდგომარეობის შემდგომი გაუარესებით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობისგან.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კოლეჯ ,,ბლექსი“-ს დირექტორს ნუგზარ ბოლქვაძეს მიმართა, როგორც ცნობილია შენობა იყო ავარიული, რაზეც არსებობდა ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ შენობის გადაცემის შემდგომ დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები და მოხდება შენობის რეაბილიტაცია, იმ დონემდე, რომ

სასწავლო პროცესის განხორციელება საფრთხეს არ წარმოადგენდეს. აქვე აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტი შენობის გადაცემით თავისუფლდებოდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს დირექტორის ნუგზარ ბოლქვაძის განმარტებით, კოლეჯის მიერ პროფესიული საქმიანობის განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ. აღნიშნული სამუშაოების უზრუნველყოფას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო განახორციელებს. სამუშაოების დასრულების შემდგომ აუცილებელია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის ხელახლა მიღება. ამასთან, კოლეჯმა უნდა გაიაროს ავტორიზაციის პროცედურა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პროფესიული საქმიანობის განახლება.

ნუგზარ ბოლქვაძემ ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან კოლეჯს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს. მადლობა გადაუხადა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს წევრებს გამოხატული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95,95263021; 29.10.2026 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ეკა გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95262891-95, 16.10.2026 წელი;) საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ჰქონდათ თუ არა თემების მიხედვით განსაზღვრული ინფორმაცია კაპიტალური პროექტებისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ, კერძოდ, რა ოდენობის თანხა იყო გათვალისწინებული თითოეული თემისათვის.

მომხსენებელმა ეკა გოგუაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე თემების მიხედვით კაპიტალური პროექტებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია ცალკე არ ჰქონდა მომზადებული, თუმცა აღნიშნა, რომ ორწლიანი კაპიტალური პროექტების ფარგლებში უკვე დასრულებულია სოფელ პირველ მაისში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლამდე წყლის მიწოდების სამუშაოები, აგრეთვე მთა ტბათში ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველყოფა. ამჟამად მიმდინარეობს დაბა ქედისა და სოფელ წონიარისის კულტურის სახლების რეაბილიტაცია.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის და წარმატებები უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95263022; 29.10.2026 წელი).

(13:00 საათზე სხდომათა დარბაზი დატოვა ჯამბულ შარაბიძემ და დურმიშხან შავიშვილმა)

5. მოისმინეს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით თედორაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95262934-95, 20.10.2026 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა რამაზ ალიქაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს შეუჩერდებათ თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული დახმარება შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარებს, რომლებიც ზამთრის პერიოდში საცხოვრებლად ქალაქში გადადიან.

მომხსენებლის დავით თედორაძის განმარტებით, განცხადების წარდგენის შემდეგ ხდება ბენეფიციარის მდგომარეობის ადგილზე შესწავლა, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება დახმარების დანიშვნის შესახებ, ხოლო ბენეფიციარის გარკვეული პერიოდით სხვა საცხოვრებელ ადგილას გადასვლა არ გამოიწვევს მისთვის დახმარების შეწყვეტას.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ციწცაძემ მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის და წარმატებები უსურვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95263023; 29.10.2026 წელი).

6. მოისმინეს: შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2025 წლის სამუშაო ანგარიში.

მომხსენებელმა შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორიმა რაულ ციწცაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2025 წლის სამუშაო ანგარიში (წერილის ნომერი: №10/95262935-95, 20.10.2026 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

საკითხის წარდგენის შემდეგ მომხსენებელმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, კერძოდ აწჰესის ტერიტორიაზე ვიზიტორთა ნაკადების თანაბრად გადანაწილების მიზნით კარგი იქნებოდა მოწყობილიყო შესაბამისი სარეკლამო ბანერი. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით საჭიროა დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების გზების შესწავლა. ასევე ყურადღება გამახვილდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საპიკნიკე სივრცეების მოწყობაზე.

მომხსენებელის განცხადებით, ქედის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი კოტეჯებისა და ადგილობრივი მეწარმეების საქმიანობის

პოპულარიზაციის მიზნით უსასყიდლოდ უმზადებს სარეკლამო რგოლებს. ამასთან, მან აღნიშნა მუნიციპალიტეტში დამატებითი პლატფორმებისა და მონიტორების მოწყობის საჭიროება, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენასა და ტურიზმის განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ანგარიშის წარდგენისათვის და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მხარდაჭერის მზაობა გამოთქვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად იქნა შეფასებული შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს 2025 წლის სამუშაო ანგარიში.

(განკარგულება N:გ-95,95263024; 29.10.2026 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**